ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6729693

ნომერი: AR1994718

თარიღი : 13.10.2023

გაცემის თარიღი : 26.10.2023

გაცნობის თარიღი : 27.10.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შალვა მშველიძის ქუჩა N18;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი შარაშიძე პ/ნ 01008019603
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 25 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 05 სექტემბრის №6646479 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 13 ოქტომბრის №AR1994718 განცხადებით მომართა გიორგი შარაშიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 05

სექტემბრის №6646479 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 05 სექტემბრის №6646479 ბრძანებით №01.17.09.007.085 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (,,ა'' ,,ბ'' და ,,ც'' ბლოკები) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 05 სექტემბრიდან 2026 წლის 05 სექტემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 05 სექტემბრის №6646479 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას, კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 20539.83 კვ.მ-ის ნაცვლად 20541.1 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 4235.07 კვ.მ-ის ნაცვლად 4211.6 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 4441.43 კვ.მ-ის ნაცვლად 4442.7 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 1085.12 კვ.მ-ის ნაცვლად 1086.7 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 33631.25 კვ.მ-ის ნაცვლად 33611.9 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ამასთან, მოთხოვნილია ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად ღია ავტოსადგომების ფართობის (551.9 კვ.მ) დაფიქსირება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის: №882022742452, მომზადების თარიღი: 18/10/2022 წ.) თანახმად, №01.17.09.007.085 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „კინორ ვაზისუბანის“ (404594818) საკუთრებას.
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22074416; მომზადების თარიღი: 16/06/2022 წ.), შპს „კინორ ვაზისუბანის“ (404594818) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს გიორგი შარაშიძე (პ/ნ: 01008019603). შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, გეგმები და გენ-გეგმა შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 05 სექტემბრის №6646479 ბრძანებაში და:

1.1 ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს: 20541.1 კვ.მ., საზაფხულო ფართობად: 4211.6 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 4442.7 კვ.მ., დამხმარე ფართობად: 1086.7 კვ.მ, საერთო ფართობად: 33611.9 კვ.მ.

1.2 ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს: ღია ავტოსადგომები: 551.9 კვ.მ.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 05 სექტემბრის №6646479 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმა და არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გენ-გეგმით და არქიტექტურული გეგმებით.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 05 სექტემბრის №6646479 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 05 სექტემბრის №6646479 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.